



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 16 მარტი, 2015 წელი

დრო: 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. მანანა დევიძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
4. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. ივანე ხარაშვილი - ასოციაცია „თანხმობა“
7. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
8. ნინო სულხანიშვილი - კავშირი მდგრადი განვითარებისთვის „ეკოვიჯენ“
9. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
10. დავით შველიძე - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
11. გიორგი ძამუკაშვილი - საქართველოს წყლის ეროვნული პარტნიორობა
12. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
13. კავშირი „ეკოტექი“ - ნუგზარ სულამანიძე

განსახილველი საკითხები:

- ❖ ჯგუფის სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა
- ❖ საპროექტო წინადადებების შემუშავება
- ❖ აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებზე რეგიონებთან თანამშრომლობა
- ❖ ენერგეტიკის სექტორის განვითარების სცენარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ტექნიკური დავალების განხილვა
- ❖ მიმდინარე საკითხები
- ❖ სხვა

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ერთობლივი აქტივობების განხორციელების აუცილებლობაზე.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ 19 მარტს დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან. მან წევრებს სთხოვა მიეწოდებინათ თავიანთი წინადადებები და რეკომენდაციები.

ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ - ს წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო სამუშაო წლისათვის საერთაშორისო მესამე სამუშაო ჯგუფის საბჭოს მიერ მოწოდებული შემდეგი პრიორიტეტები: გარემოს დაცვა, ენერგოუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილებები. მან ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საპროექტო ინიციატივების შესახებ, ასევე გამოთქვა წუხილი იმის თაობაზე, რომ საპროექტო წინადადებებში საქართველო ნაკლებად არის ჩართული, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ჯგუფს ეფექტურად წარმართოს სამუშაო პროცესი. მან ჯგუფის წევრებს ასევე აცნობა, რომ დაგეგმილია ორი სამუშაო შეხვედრის ორგანიზება მათ შორის რეგიონალურ კონტექსტში და ასოცირების ხელშეკრულების შეფასებასთან მიმართებაში.

კოორდინატორმა წამოაყენა ინიციატივა, რომ მოხდეს რეგიონებში გასვლითი შეხვედრების ორგანიზება, რეგიონალური ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდება პლატფორმის მიზნების, საქმიანობის შესახებ, ასევე მათი ცნობიერების ამაღლება ასოცირების ხელშეკრულების და მიმდინარე პროცესების შესახებ.

თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა. დამსწრეებმა განიხილეს არსებული გამოწვევები და შეთანხმდნენ, რომ უნდა გადაიდგას კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები, რომელიც გაააქტიურებს სამუშაო ჯგუფს და უფრო ეფექტურს გახდის მის მუშაობას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.